ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკის განმსაზღვრელი საბჭოს სხდომა

17 იანვარი, 2019

საბჭოს თავმჯდომარე: მაია ლაგვილავა - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე

სხდომას ესწრებოდნენ:

მარინა დარახველიძე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსი

ქეთევან გოგინაშვილი - საქართველოს შრომის, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი

ეკა ადამია - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და პროგრამების სამმართველოს უფროსი

რუსუდან კოხოძე - საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

მანანა შარაშიძე - „საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაციის“ გამგეობის თავმჯდომარე

ლალი ლალიაშვილი - შპს „ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ დირექტორი

მანანა ელიაშვილი - შპს „რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ დირექტორი

ბიძინა მგალობლიშვილი - შპს „ქ.თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ დირექტორი

ეკა ჭყონია - საქართველოს ფსიქიატრთა საზოგადოების თავმჯდომარე

ეკა ზოიძე - შპს „რესპუბლიკური კლინიკური ფსიქო-ნევროლოგიური საავადმყოფოს“ დირექტორი

გოჩა ბაკურაძე - შპს „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ გენერალური დირექტორი

ნანა ზავრადაშვილი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური ფსიქიატრიის კათედრა, ადამიანის უფლებები ჯანდაცვაში

მარინა კურატაშვილი - ფსიქიკური ჯანმრთელობის კოალიციის აღმასრულებელი დირექტორი

ვლადიმერ კეპულაძე - შპს „იმერმედი“ - იმერეთის სამხარეო სამედიცინო ცენტრის (თერჯოლამედი) სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

დავით სარიშვილი - შპს „იმერმედი“ - იმერეთის სამხარეო სამედიცინო ცენტრის (თერჯოლამედი) დირექტორი

დღის წესრიგი:

1. **შპს „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ საპრივატიზებო ვალდებულებების ცვლილების განხილვა**
   მომხსენებელი: გოჩა ბაკურაძე
2. **შპს „იმერმედი“ - იმერეთის სამხარეო სამედიცინო ცენტრის (თერჯოლამედი)**
   მომხსენებელი: ეკა ადამია

პირველი საკითხი:

საბჭოს წევრებმა მოისმინეს ბატონ გოჩა ბაკურაძის პრეზენტაცია „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ საპრივატიზებო ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობასთან და სარეკომენდაციო ცვლილებასთან დაკავშირებით.

ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკის განმსაზღვრელი საბჭოს 2018 წლის 15 ნოემბრის სხდომის გადაწვეტილებით, ბატონ გოჩა ბაკურაძეს დაევალა საპრივატიზებო ვალდებულებების ცვლილების პროექტის წარმოდგენა. აღნიშნული პროექტი სამინისტროს წერილობით წარედგინა 2018 წლის 30 ნოემბერს (N2520). წერილში აღნიშულია, რომ საპრივატიზებო ვალდებულებების (საქართველოს

მთავრობის 2015 წლის 22 ოქტომბრის N2248 განკარგულება) ფარგლებში უკვე განხორციელდა 2,500,000 ლარის სამუშაოები:

- გამოიცვალა მიწისქვეშა წყალ-გაყვანილობა და საკანალიზაციო სისტემა;
- გამოიცვალა ყველა შენობა-ნაგებობის სახურავი საერთო ფართობით 7531 კვ.მ;
- სასამართლო ფსიქიატრიული კორპუსისთვის დამონტაჟდა გათბობისა და ცხელი წყლით მომარაგების სრულიად ახალი სისტემა;
- შეიცვალა და თანამედროვე დანადგარებით აღიჭურვა დაწესებულებების სამრეცხაო ბლოკი;
- 2018 წლის 30 ოქტომბერს გაიხსნა 100 პაციენტზე გათვლილი 4 ახალი სტაციონარული განყოფილება.

ცენტრის წინადადებაა, 700 საწოლზე გათვლილი სამედიცინო დაწესებულების შექმნისა და ასევე, არანაკლებ ორი შენობა-ნაგებობის (თითოეული საერთო ფართით 2400 კვ.მ) აშენების ნაცვლად, განახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

- იძულებით და არანებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტებისთვის განკუთვნილი კორპუსის განახლება და კეთილმოწყობა;
- ცენტრის ტერიტორიის გარეთ, თემში ინტეგრირებულად, 24 ბენეფიციარზე გათვლილი 4 საცხოვრისის აშენება და კეთილმოწყობა (ქ. ფოთი -1; ქ. სენაკი - 1; ქ.ქუთაისი 2). ლოკაციები შეირჩა გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრინციპით, სადაც ხელმისაწვდომია სათემო ფსიქიატრიული სამსახურები;
- ინვესტიციის ფარგლებში ახალი ტიპის სერვისებისთვის (საცხოვრისი) შესაბამისი პერსონალის მომზადება/გადამზადების უზრუნველყოფა;
- ნასყიდობის ხელშეკრულების გონივრული ვადით გაგრძელება.

აღნიშნულთან დაკავშირებით, გამოთქმული მოსაზრებების საფუძველზე, საბჭომ დაასკვნა, რომ 700 საწოლის ნაცვლად, საპრივატიზებო ვალდებულებად განისაზღვროს:

1. 550 საწოლის (450+100 (საცხოვრისი) შექმნა. აქედან, ცნობად იქნა მიღებული, რომ 100 საწოლი, რომელიც განთავსებულია ახალაშენებულ შენობა-ნაგებობაში (საერთო ფართით 2400 კვ.მ) უკვე შექმნილია, ხოლო პაციენტებისთვის განკუთვნილ სხვა შენობებში (მ.შ. თავშესაფარი) უნდა ჩატარდეს სათანადო

სარემონტო სამუშაოები მათი რეაბილიტაციისათვის და შეიქმნას პაციენტთათვის ღირსების არშემლახავი გარემო.

2. ცენტრის ტერიტორიის გარეთ, თემში ინტეგრირებულად, 4 საცხოვრისის აშენება და კეთილმოწყობა (თითოეული 24 ბენეფიციარზე გათვლილი). ლოკაციები შეირჩევა გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრინციპით, სადაც ხელმისაწვდომია სათემო ფსიქიატრიული სერვისები;
3. საბჭოს გადაწვეტილების სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის გაცნობა საპრივატიზებო პირობებების დეტალების, მათ შორის ნასყიდობის ხელშეკრულების გაგრძელების გონივრული ვადის დაზუსტების მიზნით.
4. ზემოაღნიშნული ვალდებულებების შესრულების სანაცვლოდ, განთავისუფლდეს დამატებით ხელშეკრულების 3.1.1. პირობით ნაკისრი 2400კვ.მ. შენობა-ნაგებობის მშენებლობისაგან.

მე-2 საკითხი:

შპს „იმერმედი“ - იმერეთის სამხარეო სამედიცინო ცენტრის (თერჯოლამედი) დირექტორმა დავით სარიშვილმა სამინისტროს წერილობით მომართა 2018 წლის 28 დეკემბერს (N470) ფსიქიკური ჯანმრთელობის 2019 წლის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის თაობაზე სამ კომპონენტში: სტაციონარული მომსახურება ფსიქიკური აშლილობის მქონე მოზრდილთა კონტინგენტისთვის (მწვავე შემთხვევების სტაციონარული მართვა); სათემო ამბულატორიული მომსახურება და თემზე დაფუძნებული მობილური ჯგუფის მომსახურება (აღნიშნულის თაობაზე წერილი ასევე იყო მიღებული 2018 წლის 6 ნოემბრს).

როგორც კორეპონდენციაშია მითითებული, სტაციონარულ კომპონენტში ჩართვის მიზნით, 2018 წლის განმავლობაში შეირჩა და გადამზადდა შესაბამისი კადრები, გამოიყო ფართი (385 კვ.მ), ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა, აღიჭურვა საჭირო სამედიცინო და საყოფაცხოვრებო ინვენტარით (17 სტაციონარული საწოლი). 2018 წლის 28 ნოემბერს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ გაიცა სანებართვო დანართი სამედიცინო საქმიანობაში „ფსიქიატრია“.

წერილის ავტორი თხოვნით მიმართავს მინისტრს, რათა 2019 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტში „ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამაში

გათვალისწინებულ იქნეს „იმერმედი“, როგორც პროგრამის მიმწოდებელი ზემოაღნიშნულ სამ კომპონენტში.

რადგან 2019 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების პროექტი საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარედგინა 2018 წლის 21 დეკემბერს (N01/11933-სწ წერილი) და ამ პერიოდისთვის „იმერმედი“ არ ფლობდა სანებართვო დანართს სამედიცინო საქმიანობაში „ფსიქიატრია“, ამიტომ მისი, როგორც მიმწოდებლის ასახვა დადგენილების პროეტში ვერ განხორციელდა (პროგრამები დამტკიცდა 2018 წლის 31 დეკემბერს საქართველოს მთავრობის N693 დადგენიულებით).

აღნიშნულთან დაკავშირებით, აზრთა ურთიერთგაცვლის საფუძველზე, დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით საბჭოს მიერ მიღებული იქნა გადაწვეტილება:

1. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების პირველი კვარტლის ანგარიშის და ბიუჯეტის ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით, შესაძლებლობის ფარგლებში, გამოინახოს შესაბამისი ფინანსური რესურსები, რათა მოხდეს შპს „იმერმედი“ - იმერეთის სამხარეო სამედიცინო ცენტრის (თერჯოლამედი) ფსიქიატრიული დახმარების სახელმწიფო პროგრამის სტაციონარული მომსახურება ფსიქიკური აშლილობის მქონე მოზრდილთა კონტინგენტისთვის (მწვავე შემთხვევების სტაციონარული მართვა) კომპონენტში მომსახურების მიმწოდებლად დაფიქსირება აპრილის თვიდან.

საბჭოს თავმჯდომარე:

მაია ლაგვილავა